



5257/3-98/22 2 10062022

5257/3-98/22

10-06-2022

საქართველოს პრემიერ- მინისტრს

ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით.

2022 წლის 21 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის დადგენილება N 217 „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების ვადების, ამ მომსახურებისათვის დაწესებული საფასურების ოდენობების და საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №508 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. აღნიშნული დადგენილებით გაიზარდა მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასურების ოდენობა.

1. რამ განაპირობა დადგენილი საფასურის ზრდა?

2. რა მოცულობის დამატებითი საფასურის გადახდა მოუწევთ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ყოველწლიურად, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 21 აპრილის დადგენილება N 217-ის გამო? (წინა წლების მონაცემების ანალიზიდან გამომდინარე)

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
დავით უსუფაშვილი



5258/3-98/22 2 10062022

5258/3-98/22

10-06-2022

საქართველოს ფინანსთა მინისტრს

ბატონ ლაშა ხუციშვილს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით.

2022 წლის 21 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის დადგენილება N 217 „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების ვადების, ამ მომსახურებისათვის დაწესებული საფასურების ოდენობების და საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №508 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. აღნიშნული დადგენილებით გაიზარდა მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასურების ოდენობა.

1. რამ განაპირობა დადგენილი საფასურების ზრდა?

2. რა მოცულობის დამატებითი საფასურის გადახდა მოუწევთ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ყოველწლიურად, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 21 აპრილის დადგენილება N 217-ის გამო? (წინა წლების მონაცემების ანალიზიდან გამომდინარე)

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
დავით უსუფაშვილი